N 183 24/08/2017

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი 13

დ. ჩოხატაური *16 აგვისტო, 2017 წელი*

სხდომის თავმჯდომარე-ზაალ მამალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები:

ვლადიმერ სიხარულიძე, ქეთევან სიხარულიძე, გოჩა სეხნიაშვილი, აკაკი ყაჭეიშვილი, დავით ტყეშელიაძე, ლაშა თოლორდავა, გოჩა ჯიქია, რამაზი უჯმაჯურიძე, ოთარი სოროზანიშვილი, ერეკლე უღრელიძე, თემურ ხუხუნაიშვილი, დათო ვაჩეიშვილი, ალეკო კვინტრაძე, დავით გუდავაძე, დავით ტრაპაიძე, მარინე ბერაძე, კობა კალანდაძე, ზვიადი მამალაძე, ირაკლი ახობაძე, მანანა მინდაძე, მამია ბარამიძე, დიმიტრი კორიფაძე, მამია ბარამიძე (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა), გოდერძი გოგიშვილი,რომანი ჯულაყიძე, კლოდი მდინარაძე, თამაზი დევიძე.

არ ესწრებოდნენ: გიორგი რამიშვილი, უშანგი ართმელაძე, ალექსანდრე შარაშიძე, მალხაზ ჩხიკვაძე, გოჩა თოდრია, მაია პაიჭაძე, მაია გიორგაძე, გია გვენეტაძე, შალვა ჩანტლაძე, არჩილ სიხარულიძე.

მოწვეული მუნიციპალიტეტის გამგეობიდან:

მაია გოგოლაძე- გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსი.

თენგიზ მეგრელიშვილი- გამგეობის ქონების მართვისა და ზედამხედველობის სამსახურის ქონების მართვის უფროსი სპეციალისტის შემცვლელი ქონების მართვის საკითხებში.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი შემდეგი ფორმულირებით:

1. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბერის №30 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

2. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის II კვარტლის ანგარიშის შესრულების შესახებ.

4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავად, გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების ნუსხის განსაზღვრის შესახებ.

<u>**აზრი გამოთქვა:**</u> მამია ბარამიძემ, ალეკო კვინტრაძემ, კობა კალანდაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 28

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 28 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბერის №30 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

2. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი:მარინე ბერაძე

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის II კვარტლის ანგარიშის შესრულების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავად, გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების ნუსხის განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: თენგიზ მეგრელიშვილი

I საკითხი: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბერის №30 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მოისმინეს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბერის №30 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

აზრი გამოთქვა: გოდერძი გოგიშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშნული დოკუმენტი უნდა წარმოდგენილიყო ჩაშლილი ვარიანტით როგორც შევთანხმდით წინა სხდომაზე, მაგრამ მხოლოდ ციფრებშია ცვლილება სხვა არაფერი.
ირაკლი ახობაძემ და აღნიშნა, რომ როდესაც ადმინისტრაციულ წარმოებაზე დადგა დოკუმენტი, მაშინ აღვნიშნე, რომ დარღვეული იყო თვითმმართველობის კოდექსის 155-ე მუხლის მე-3 პუნქტი, ასევე 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მოთხოვნები, განგვიმარტეთ რატომ?

წინა წლის დამტკიცებული ბიუჯეტის თანახმად, საკუთარი შემოსულობები არის :გადასახადები, სხვა შემოსავლები, გათანაბრებითი ტრანსფერი და არაფინანსური აქტივების კლება. ჯამში წინა წელს საკუთარი შემოსულობები იყო 5 მილიონ 712 ათასი ლარი, რაც შეეხება წლევანდელ წელს ჯამში საკუთარი შემოსულობები არის 6 მილიონ 227 ათასი ლარი. ანუ სხვაობა 515,0 ათასი ლარია. ეს სხვაობა უნდა წავიდეს არაფინანსურ აქტივების ზრდაში, განმარტებით ბარათში კი ვკითხულობთ, რომ არაფინანსურ

აქტივებში 155,0 ათასი ლარია. ესეიგი ვარღვევთ თვითმმართველობის კოდექსის მოთხოვნებს.

მაია გოგოლაძე- წლის ბოლომდე გავზრდით.

წარმოდგენილი II კვარტლის ანგარიშიდან ირკვევა, რომ ქონების გადასახადიდან შემოვიდა ზედმეტი 500 ათასი ლარი, ანუ წლიურ დაგეგმილზე მეტი ნახავარი მილიონით. თანხა შემოსავლებში არ არის აღნიშნული ანუ ივნისის თვის მდგომარეობით შემოსულია ნახევარი მილიონი ლარი და თანხა არსად არ ჩანს. რატომ არ ავსახეთ ეს თანხა ბიუჯეტში? კითხვით მიმართა პროექტის ავტორს ირაკლი ახობაძემ.

მე მაქვს ხელთ 2016 წლის ბიუჯეტის საკასო შესრულების მაჩვენებელი. ა(ა)ი.პ. კურორტი ,,ბახმაროს" საკასო შესრულება 2016 წელში იყო 109,0 ათასი ლარი.ახლა რამდენია?

104,0 ათასი ლარი გვაქვს ახლა, ანუ 10 %-ითაა შემცირებული? ა(ა)ი.პ. სამხატვრო სკოლის საკასო შესრულება იყო 105, 0 ათასი ლარი, ახლა არის ისევ იგივე. 10 %-ია დაკლებული?

ა(ა).ი.პ. კულტურის ცენტრი 397,0 ათასი ლარი, ახლა გაზრდილია. საბიბლიოთეკო გაერთიანების საკასო შესრულება იყო 139,0 ათასი ლარი და ახლა არის 140,0 ათასი ლარი, შემცირების მაგიერ არის გაზრდილი. სპორტის განვითარების ცენტრი 161 ათასი ლარია საკასო შესრულება და 160 ათას ლარს ვამტკიცებთ. თითქმის ყველა ა(ა)ი.პ.- ში საკასო შესრულება დარღვეულია.

თუ თქვენ ამ დარღვევებით მხარს უჭერთ ამ ბიუჯეტის მიღებას ეს პასუხისმგებლობაა და მე მხარს ვერ დავუჭერ ამ ფორმით წარმოდგენილ დოკუმენტს.

მაია გოგოლაძე- წლის ბოლომდე დავაზუსტებთ ბიუჯეტს და ავსახავთ.

მამია ბარამიძე(ენმ): კომისიის სხდომაზე ვიმუშავეთ და გვქონდა შენიშვნები რომელიც გათვალისწინებული არ არის, ამიტომ ამ დოკუმენტის მიღებას მხარს ვერ დავუჭერ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 23

წინააღმდეგი _ 5

(ი.ახობაძე,გ.გოგიშვილი, რ.ჯულაყიძე,მ.ბარამიძე(ენმ), დ.კორიფაძე,)

(კენჭისყრას ესწრებოდა 28 წევრი)

მიღებულია დადგენილება: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბერის №30 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

II საკითხი: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მოისმინეს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი:მარინე ბერაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> აკაკი ყაჭეიშვილმა, დავით გუდავაძემ, მამია ბარამიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 28

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 28 წევრი)

მიღებულია დადგენილება: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

III საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის II კვარტლის ანგარიშის შესრულების შესახებ.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის II კვარტლის ანგარიშის შესრულების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u>

ირაკლი ახობაძემ და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტით ინფორმაცია არის ძალიან მწირი. ამ დიკუმენტის თანახმად, II კვარტალის ზოგადი სურათის გაანალიზებაც კი შეუძლებელია. კარგი იყო ჩაშლილი ვარიანტი წარმოგედგინათ. სარეზერვო ფონდიდან 30,0 ათასი ლარიდან დახარჯულია 22 ათასი ლარი, კონკრეტულად რაში დაიხარჯა აღნიშნული თანხა? II კვარტლის ანგარიში უნდა შეესაბამებოდეს დამტკიცებულ ბიუჯეტს.

მამია ბარამიძემ (ენმ)- მოითხოვა დაკონკრეტება სარეზერვო ფონდიდან გახარჯულ თანხებთან დაკავშირებით.

მიღებულია განკარგულება: ცნობად იქნა მიღებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის II კვარტლის ანგარიშის შესრულების შესახებ.

IV საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავად, გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების ნუსხის განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავად, გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების ნუსხის განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: თენგიზ მეგრელიშვილი

<u>აზრი გამოთქვა:</u>

ოთარი სოროზანიშვილმა აღნიშნა, რომ სოფელ ზემოსურებში პლაკატების გამოსაკრავად მითითებულია კლუბის შენობა. ეს შენობა ფიზიკურად არ არის სოფელში, შევცვალოთ იგი სამედიცინო ამბულატორიის შენობით.

გოდერძი გოგიშვილმა აღნიშნა, რომ კარგი და პრაქტიკული იქნებოდა, თუ სააგიტაციო მასალები განთავსდებოდა სპეციალურად დამზადებულ სტენდებზე. წინა წლებშიც იყო საუბარი ამ თემაზე, მაგრამ იგი ყურად არავინ მიიღო. საარჩევნოდ მწვანე ნარგავები და ბოძები ამისთვის არ უნდა იყოს გამოყენებული. იქნებ სამომავლოდ მაინც მოხერხდეს ამ სტენდის გაკეთება.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 28

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 28 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავად, გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების ნუსხის განსაზღვრის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა